



14.12.2012

დარიალჰესთან დაკავშირებული მტკიცებულებების კვლევა დასრულდა

ეკა მაღალაძე

შეუერთდი განხილვას

დარიალჰესის მშენებლობის კანონიერებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების კვლევა დაასრულა. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს, რომლითაც გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დადებითი ეკოლოგიური დასკვნა ძალაში დარჩა.

დღევანდელ სხდომაზე „მწვანე ალტერნატივამ“ დამატებითი მტკიცებულებები წარადგინა. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განმარტებით, ამ დოკუმენტების მოძიება და წარმოდგენა იმ განკარგულებამ განაპირობა, რომელიც წინა სხდომაზე გარემოს დაცვის სამინისტროს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსმა გამოაქვეყნა. საუბარია მთავრობის 28 ნოემბრის დადგენილებაზე, რომელიც სამინისტროს წარმომადგენელთა მტკიცებით, მათ უფლებას აძლევდა ჰესის მშენებლობაზე ნებართვა გაეცათ მიუხედავად იმისა, მოიცავდა თუ არა ის დაცული ტერიტორიის ფარგლებს.

გარემოსდამცველების მტკიცებით, ეს დოკუმენტიდაცული ტერიტორიების შესახებ კანონზე მაღლა არ დგას და თავისთავად უკანონო დოკუმენტია, რომელსაც დაურთავენ საქმეს, რომელიც პროკურატურაში უკვე აღძრეს.

„დღეს ჩვენ წარმოვადგინეთ ის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც წინ უძღოდა მშენებლობის დაწყებას და რომლითაც მთელი რიგი კანონდარღვევები ვლინდება. ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებებიდან და სხვა საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ სამინისტრო კანონდარღვევით მოქმედებდა. ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ, რომ ის

ურჩევს მინისტრს, ჰესების ნუსხიდან დარიალჰესი ამოიღოს, რადგან მისი მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია ყაზბეგის ეროვნული პარკის ნაწილს ემთხვევა. როგორც ჩანს, მინისტრმა და მთავრობამ წინასწარ შეცნობით გადააჭარბეს უფლებამოსილებას და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჰესის მშენებლობაზე დაცული ტერიტორიის ფარგლებში და თან თავიდან გათვალისწინებულზე ორჯერ მეტი სიმძლავრით,“ - განაცხადა „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორმა ირაკლი მაჭარაშვილმა.

მაჭარაშვილი იმასაც ამბობს, რომ ახალი ხელმძღვანელობის პირობებში გარემოს დაცვის სამინისტრო მიმდინარე პროცესებს უნდა გამიჯვნოდა და ახალ მინისტრს კონკრეტული პოზიცია გამოეხატა: „ვფიქრობ, ახალი ხელისუფლების ქმედებები არ ემთხვევა მათ წინასწარჩვენო დაპირებებს, ვერ ვხედავთ, რომ მათთვის პრიორიტეტული იყოს გარემოს დაცვა, დარიალჰესის საქმე ამ პროცესის ერთ-ერთი ინდიკატორია.“

„მას მერე, რაც მთავრობის იმ უკანონო განკარგულებების შესახებ ცნობილი გახდა, სამინისტროს ახალი შემადგენლობა ამ პროცესს უნდა გამიჯვნოდა. ჩვენ ხომ მათი მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას ვითხოვთ. ამ შემთხვევაში მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც დგას. გამოდის, რომ სამინისტრო წინა მთავრობისა და წინა შემადგენლობის ადვოკატია და მათ უკანონო გადაწყვეტილებას იცავს,“ - ამბობს მაჭარაშვილი.

მოსარჩელე მხარის იურისტი ირმა მახათაძე განმარტავს, რომ სასამართლოს შეუძლია საქმე გადაწყვეტის გარეშე დააბრუნოს გარემოს დაცვის სამინისტროში და მათგან კანონის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვოს.

დარიალჰესის მშენებელი კომპანია „დარიალი ენერჯის“ დირექტორი ზურაბ ალავიძე ამბობს, რომ ამ პროცესის გამო მათ დაფინანსების პრობლემები შეექმნათ და ჰესის მშენებლობა შეჩერებულია.

„ჩვენი ძირითადი პარტნიორები ქართული ბანკები იყვნენ, ეს უპრეცედენტი პროექტი იყო და საკმაოდ დიდი დაფინანსებაც გვექონდა, რომელიც, ფაქტობრივად, შეწყვეტილია. იმ განცხადებების ფონზე, რომლებსაც „მწვანე ალტერნატივა“ აკეთებს და იმის გამო, რომ სასამართლო დავა ამდენხანს გაგრძელდა, დაფინანსება დავკარგეთ. ბანკები მეტ რისკს ხედავენ, მეტად ფრთხილობენ. როგორც უნდა დასრულდეს პროცესი, გვიჭირს იმის წარმოდგენა, როგორღა უნდა მოვიპოვოთ თავიდან ეს დაფინანსება და საერთოდ ვის რაზე მოვთხოვოთ პასუხი, დავის საგანთანაც ჩვენ არაფერ შუაში ვართ.“

ალავიძე ამბობს, რომ თავდაპირველად მათი წარდგენილი პროექტი 70 მეგავატამდე სიმძლავრის ჰესს გულისხმობდა, და მისი გაზრდა 110 მეგავატამდე ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით მოხდა.

გარემოსდამცველები წინა სხდომებზე ამტკიცებდნენ, რომ კვლევები, რომლებსაც გარემოზე ზემოქმედების ანგარიში ეფუძნებოდა არარელევანტური იყო და 20 წელზე დიდი ხნით ადრე იყო ჩატარებული. ალავიძე ამბობს, რომ იმ პირობებში, როდესაც ასეთი ტიპის კვლევები არ ტარდება, ისინი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ და იმას დაეყრდნენ, რაც არსებობდა.

„თანაც ის 47-წლიანი პერიოდი რომელსაც მითითებული კვლევა მოიცავდა, საკმარისი იყო ზოგადი სურათის შესაქმნელად. ბოლო რამდენიმე წელიწადში არაფერი შეიცვლებოდა. მდინარის კალაპოტში დარჩენილი ნაწილიც შეუძლებელია რომ გაიყინოს, სხვა პატარა მდინარეები ხომ არ იყინება, ეს რატომ გაიყინება? რაც შეეხება ტერიტორიას, რომელიც დაცული ტერიტორია იყო, მის ქვეშ მხოლოდ მილი გადის, ზედ კი მიწა ყრია და გარემოს ზიანს არ ვაყენებთ,“ - აცხადებს „დარიალი ენერჯის“ გენერალური დირექტორი.

მტკიცებულებების კვლევის ეტაპი და სასამართლო პროცესი დღეს მხარეებისთვის მოულოდნელად დასრულდა. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ ახალწარდგენილ მტკიცებულებებზე მოსაზრების გამოთქმის საშუალება მათაც უნდა მისცემოდათ და მოწინააღმდეგე მხარესაც. მოსამართლეებმა კი ამ მტკიცებულებებთან გაცნობის შემდეგ პროცესი დაასრულეს.

დატოვებს თუ არა ძალაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლო, გაუქმდება თუ არა დარიალჰესის მშენებლობაზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური დასკვნა - 19 დეკემბერს გახდება ცნობილი.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)